

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის საბუნსო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2020 წლის მესამე კვარტლის ანგარიში

ოქტომბერი, 2020 წელი

სარჩევი

მიმოხილვა	3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები.....	3
პორტფელის მართვა	7
განახლებული სადაზღვევო ზღვარი	8
მართვის საინფორმაციო სისტემა.....	9

მიმოხილვა

2020 წლის მესამე კვარტალში ძალაში შევიდა გადაწყვეტილება სადაზღვევო ზღვრის გაზრდის თაობაზე. კერძოდ, 2020 წლის 1 ივლისიდან დაზღვევის ზღვარი 5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება აისახა მესამე კვარტლის სტატისტიკაზე.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოში დასრულდა მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემის ტესტირებაზე და პროგრამა დაინერგა რეალურ გარემოზე. ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები კომერციული ბანკების მომხმარებლებისთვის.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2020 წლის ივლისის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 31 425 678 504 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 16 265 993 858 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 3 675 356 848 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 2 281 780 ლარი შეადგინა.

2020 წლის აგვისტოს თვეში, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 31 860 065 758 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 16 408 448 099 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 3 678 754 260 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 314 031 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 33 770 840 192 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 17 466 880 961 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 3 745 003 325 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 333 467 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 2.49%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2020 წლის მარტში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 8.91%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.73%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა ასევე, 2020 წლის მარტის თვეში დაფიქსირდა და 10.39% შეადგინა. დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა კი მაქსიმალურად 2020 წლის ივლისში დაფიქსირდა და 81.37% შეადგინა. აღნიშნული მკვეთრი ზრდა სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე გაზრდასთან არის დაკავშირებული. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	აპრ.20	მაი.20	ივნ.20	ივლ.20	აგვ.20	სექ.20	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	27,24	27,21	27,31	29,74	28,37	29,13	29,62	31,43	31,86	33,77	
თვიური ცვლილება, %		-0,11	0,35	8,91	-4,60	2,66	1,67	6,11	1,38	6,00	2,49
ფიზიკური პირების დეპოზიტები	15,07	15,03	14,74	16,27	15,99	15,96	15,81	16,27	16,41	17,47	
თვიური ცვლილება, %		-0,29	-1,93	10,39	-1,68	-0,22	-0,97	2,92	0,88	6,45	1,73
დაზღვეული დეპოზიტები	2,02	1,91	1,90	2,01	2,07	2,00	2,03	3,68	3,68	3,75	
თვიური ცვლილება, %		-5,19	-0,41	5,60	2,85	-3,13	1,13	81,37	0,09	1,80	9,35

2020 წლის მესამე და მეორე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მიმდინარე წლის მესამე კვარტლის ბოლოს, წინა კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შესაბამისად, 14.03% და 10.51%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 84.81%-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

	ივნ.20	სექ.20
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	29,62	33,77
კვარტალური ცვლილება, %	-0,43	14,03
ფიზიკური პირის დეპოზიტები	15,81	17,47
კვარტალური ცვლილება, %	-2,84	10,51
დაზღვეული დეპოზიტები	2,03	3,75
კვარტალური ცვლილება, %	0,76	84,81

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2020 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტები შესაბამისად 27,3% და 21%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 103,7%-ით გაიზარდა (ცხრილი #3).

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	სექ.19	სექ.20
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	26,53	33,77
ცვლილება, %	-	27,3
ფიზიკური პირის დეპოზიტები	14,44	17,47
ცვლილება, %	-	21,0
დაზღვეული დეპოზიტები	1,84	3,75
ცვლილება, %	-	103,7

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,4%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 21.71%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 9,4%-ით), ხოლო ევროში 22.7%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 3,1%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	სექ.19	სექ.20	სექ.20 *
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი	3,58	4,24	4,24
ცვლილება, %		18,4	18,4
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	9,52	11,58	10,41
ცვლილება, %		21,71	9,4
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო	1,34	1,65	1,38
ცვლილება, %		22,7	3,1

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2020 წლის იანვარი-სექტემბრის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (43.22%) ივლისში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 2 281 780 ლარი შეადგინა (ცხრილი #5).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	აპრ.20	მაი.20	ივნ.20	ივლ.20	აგვ.20	სექ.20	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	1,60	1,52	1,54	1,57	1,62	1,56	1,59	2,28	2,31	2,33	
თვიური ცვლილება, %		-4,78	1,12	1,92	3,46	-3,75	2,13	43,22	1,41	0,84	5,06

2020 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 45.15%-ით (ცხრილი #6), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 59.42%-ით აღემატება (ცხრილი #7).

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	ივნ.20	სექ.20
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	4,77	6,93
კვარტალური ცვლილება, %	-	45,15

ცხრილი 7. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	სექ.19	სექ.20
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	4,35	6,93
ცვლილება, %	-	59,42

ყოველთვიური რეგულარული შენატანის ოდენობის მკვეთრი ზრდა სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე ზრდას უკავშირდება.

2020 წლის სექტემბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 97,7% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 21,44%. დაზღვეული დეპოზიტების 54% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 46% - უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2020 წლის მესამე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 6 929 279 ლარი შეადგინა. კუპონის სახით მიღებულმა შემოსავალმა 1 009 853 ლარი, ხოლო გამოსყიდული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის მოცულობამ 6 900 000 ლარი შედგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2020 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტიცია განახორციელა.

2020 წლის 7 ივლისს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 1 573 249,25 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 1 510 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 8,200%-ია.

2020 წლის 28 ივლისს სააგენტომ 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა. თითოეული შესყიდული ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება 1 500 000 ლარია. შემოსავლიანობის განაკვეთი კი შესაბამისად 8.600% და 8.500%-ია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად სააგენტომ შესაბამისად, 1 552 990,21 და 1 558 913,96 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

2020 წლის 4 აგვისტოს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე სააგენტომ სამი განაცხადი გაიტანა, თითოეული განაცხადის ნომინალური ღირებულება 2 000 000 ლარს შეადგენდა. შემოსავლიანობის განაკვეთი 8,200%, 8,150% და 8,100%-ია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად სააგენტომ შესაბამისად, 2 002 423,35 , 2 004 440,80 და 2 006 460,86 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

2020 წლის 1 სექტემბერს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე სააგენტომ ორი განაცხადი გაიტანა, თითოეული განაცხადის ნომინალური ღირებულება 1 180 000 ლარს შეადგენდა. შემოსავლიანობის განაკვეთი 8,100% და 8,000%-ია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად სააგენტომ შესაბამისად, 1 190 985,57 და 1 193 301,05 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის საინვესტიციო პორტფელის მოცულობა 47 522 610 ლარია.

განახლებული სადაზღვევო ზღვარი

2020 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა სადაზღვევო ზღვრის 5000-დან 15 000 ლარამდე გაზრდის გადაწყვეტილება.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სააგენტომ, 2019 წელს, მოამზადა ზღვრის გადახედვასთან დაკავშირებული ანალიზი და წინადადება. ზღვრის ოდენობის და სადაზღვევო პრემიის განაკვეთების განსხვავებული კომბინაციების რამდენიმე სცენარიდან, სამეთვალყურეო საბჭოსა და კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, შეჯერდა საბოლოო პოზიცია - ზოგადი ეკონომიკური სურათის, საბანკო სექტორში არსებული ვითარების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ზღვრის ოპტიმალურ ოდენობად 15 000 ლარი განისაზღვრა. აღნიშნული გულისხმობს ზღვრის ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს დეპოზიტორთა უმრავლესობის სრულ დაცვას და მეორე მხრივ, განაპირობებს სისტემის საიმედოობის და ეფექტიანობის ზრდას.

ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის განაკვეთი კანონით განსაზღვრული მაქსიმალური 0.067%-დან 0.03%-მდე შემცირდა ეროვნული ვალუტით დაზღვეული დეპოზიტებისთვის. განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილება განპირობებულია საბანკო სექტორისთვის ცვლილების ეფექტის შემსუბუქების მიზნით.

ზღვრის ოდენობის 15 000 ლარამდე გაზრდა წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს დაფარვის გასაუმჯობესებლად; ამავდროულად, ხელს შეუწყობს სისტემის

სანდოობის და ფინანსური უსაფრთხოების კუთხით დეპოზიტების დაზღვევის მნიშვნელობის ზრდას.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სტატისტიკაზე აისახა. გაზრდილი ზღვრის შედეგად დაზღვეული დეპოზიტების ოდენობამ 2 მლრდ ლარიდან, დაახლოებით 4 მლრდ ლარამდე მოიმატა; ყოველთვიური სადაზღვევო რეგულარული შენატანის მოცულობა საშუალოდ 1,6 მლნ ლარიდან 2,3 მლნ ლარამდე, ხოლო, დაზღვეული დეპოზიტების წილი - 12,82%-დან 21,44 %-მდე გაიზარდა.

მართვის საინფორმაციო სისტემა

2020 წლის მესამე კვარტალში რეალურ გარემოში დაინერგა მართვის საინფორმაციო სისტემა. აღნიშნული წარმოადგენს დეპოზიტების დაზღვევის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემას, რომლითაც მოხდება ძირითადი პროცესების - ყოველთვიური ანგარიშგების, ყოველთვიური შენატანების და შესაბამისი ანალიტიკის წარმოება და სადაზღვევო შემთხვევის ელექტრონული მართვა.

სისტემის დანერგვის პარალელულად, ჩატარდა ონლაინ-ტრენინგები კომერციული ბანკებისთვის, რომლებიც ასევე, სისტემის მომხმარებლები არიან. ბანკების წარმომადგენლები გაეცნენ პროგრამის ძირითად ფუნქციონალებს, სისტემაში გაიხსნა და დარეგისტრირდა რამდენიმე მომხმარებელი თითოეული ბანკიდან. ტრენინგებში ჩართული იყო სააგენტოს ბიზნეს-ანალიტიკოსი და პროგრამაზე მომუშავე საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიის წარმომადგენელი.

2020 წლის სექტემბრიდან კომერციული ბანკები ყოველთვიურ ანგარიშგებას სააგენტოს მართვის საინფორმაციო სისტემით წარუდგენენ.